საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუქურაული ივანე ალექსის ძე

ბუქურაული ივანე ალექსის ძე (1869–1943), პედაგოგი, მწერალი, ფოლკლორისტი. ქართ. ზეპირსიტყვიერების მასალებს (თუშურს, იშვიათად ხევსურულს) აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბესა“ და „აკაკის კრებულში“. კრებ. „ძველ საქართველოში“ (II, 1913) გამოაქვეყნა 1895–1902 ქართ. პერიოდიკაში დაბეჭდილი თუშური ლექსები და მათი ვარიანტები, დაურთო კომენტარები და ლექსიკონი. ავტორია ნარკვევებისა: „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე მეორის შესახებ“ („ივერია“, 1895), „ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი“ („მოამბე“, 1898) და ა. შ. ხალხ. გადმოცემებზეა დამყარებული ბ-ის მოთხრობები „ზურაბის კოშკი“, „მუცალხანი“ და სხვ.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

ფ. ზანდუკელი